## დღეს ნომერში:

**ისევ „ფეხბურთის მრავალ მაგიდასთან“ ჩვენი „უნივერსიტეტის“ ლაურეატები**



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „ბურევესტნიკისა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელთა გუშინწინდელი მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ამ გუნდების შეხვედრის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

### საათი

◆ ალმა-ათა, 21 დეკემბერი. საბჭოთა არმიის ოფიცერი, 27 წლის ნ. ხოროშაევი (დონის როსტოვი), რომელმაც ნახევარი წლის წინ მძიმე ტრავმა და ოპერაცია გადაიტანა, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დღეს პირველად გამოვიდა ფიცარნაგზე და საშუალო წონის ათლეტთა შორის აჭიმვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა: ძალოსანთა აქ მიმდინარე საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში 167,5 კგ დაძლია. ეს 2,5 კგ-ით აღემატება შარშან მაისში მის მიერვე დამყარებულ რეკორდს.

◆ **სანტ-იაგო, 21 დეკემბერი.** ჩილის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — გფრ-ის ნაკრები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 249 (3733)

1968 წ. 22 დეკემბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



## ახალი ამბები

● ექს-ან-პროვანსი, 20 დეკემბერი. საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ამ ქალაქში გაიმართა მოცურავეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა და მსოფლიოს რეკორდსმენებმა. პროგრამის უმეტეს სახეობაში ამერიკელებს ბადალი არ ჰყავდათ: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობეს დები მაიერმა (2.17,6) და მაიკ ბარტონმა (2.01,9), ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით — დუგლას რასელმა (58,3). 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საუკეთესო იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი მაიკ უენდენი — 54,2.

● ბუდაპეშტი, 20 დეკემბერი. აქ დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით სწრაფრბენაში. ყინულის ბილიკზე გამოვიდნენ უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლები. პირველ გარბენებში თავი გამოიჩინეს მასპინძლებმა: 500 მეტრზე ქალთა რბენაში უძლიერესი იყო ი. ტამაში — 49,0. ამ დისტანციაზე მ. მარტოსმა უნგრეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 42,1.

● **რომი, 20 დეკემბერი.** იტალიის დედაქალაქმა და ფლორენციამ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურები 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთსა და ფიგურულ ცურვაში.

● ლენინგრადი, 20 დეკემბერი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. ამ ბრძოლის პრიზს დაეუფლნენ „დინამოს“ წარმომადგენლები.

● პრაღა, 21 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის ორგანოს — გაზეთ „მლადა ფრონტას“ ტრადიციულ ანკეტაში გაიმარჯვეს მ. რეზკოვამ, ფ. პლასმა, ო. კოზიჩევამ და ი. სუხიმ. 1968 წლის სეზონის მიხედვით ისინი შესაბამისად დასახელებული არიან ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნად, ფეხბურთელად, მოცურავედ და ჰოკეისტად. რეზკოვა ოლიმპიური ჩემპიონია სიმაღლეზე ხტომაში, მეორე ლიგის ერთ-ერთი საფეხბურთო გუნდის მცველმა პლასმა საუკეთესოდ გამოიჩინა თავი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, კოზიჩევა მთელი წლის განმავლობაში კარგად ასპარეზობდა და მეხიკოში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში გავიდა, ხოლო „დუკლა-იგლავას“ ჰოკეისტთა გუნდისა და ეროვნული ნაკრების მცველი სუხი გრენობლის თეთრი ოლიმპიადის შედეგების მიხედვით მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში იქნა შეყვანილი.

● **პარიზი, 21 დეკემბერი.** 6 ოლიმპიადის მონაწილე, საფრანგეთის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის კაპიტანი ჟან ლეფევრი საავადმყოფოში აღმოჩნდა — ვარჯიშის დროს იგი სერიოზულად დაიჭრა: მეტოქის ხმალმა გახვრიტა მისი დამცველი ჟილეტი. ლეფევრს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და ახლა იმედოვნებენ, რომ მას სიკვდილი აღარ ემუქრება.

● ფორტ დე ფრანსი (მარტინიკა), 21 დეკემბერი. ტენერიფედან (კანარის კუნძულები) ატლანტის ოკეანეში ცურვის შემდეგ, რასაც ათნახევარი დღე მოუნდა, აქ ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი აფროსანი, ერთეულ აფროსანთა ტრანსატლანტური რბოლის ერთ-ერთი გამარჯვებული ერიკ ტაბარლი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ იგი კვლავ ეულად აპირებს გაცურვას სან-ფრანცისკოდან (აშშ) ტოკიომდე, შემდეგ კი ასევე სან-ფრანცისკოდან ჰონოლულუმდე.

## საჰაერო ბურთებზე ამხედრებულნი

სვენსის (უელსი) სპორტული საქონლისა და სათამაშოების დირექტორი ბრაიენ ნიკოლსი გვიამბობს ერთი გამოგონების ისტორიას:

„ერთხელ ნორვეგიაში სეირნობის დროს, სანაპიროზე დავინახე პატარა ბიჭი, რომელიც ჩვეულებრივ ტივტივაზე იჯდა (მეთევზეებს რომ აქვთ ხოლმე) და ხტუნავდა. სწორედ ეს ტივტივა გამოვიყენე ახალი სპორტული იარაღის პროტოტიპად“.

ნიკოლსმა რამდენიმე ცდის შემდეგ თავის ფაბრიკაში დაამზადა საჰაერო ბალონი, რომლის სიმაღლე 1 მეტრი იყო, სიგანე — 1,5. ბალონს ორი ყური აქვს ჯდომის დროს ხელის მოსაკიდად. პატარა ბიძგი ფეხით საკმარისია, რათა ბალონმა ადამიანი ზევით აისროლოს. „სპორტის“ ახალი სახეობის ოსტატები 2 მეტრზე მაღლაც ხტებიან.

ნიკოლსის გამოგონებას ინგლისში „ჰოპერი“ უწოდეს. იგი თავის დროზე განთქმულ ჰულა-ჰუპზე ნაკლებ პოპულარობას როდი იხვეჭს. ერთ თვეში ფაბრიკამ 50 ათასამდე ბალონი გაყიდა. ევროპაში „ჰოპერით“ გატაცება ვრცელდება. დასავლეთ გერმანიაში მას „კენგურუბურთი“ დაარქვეს.

სპეციალისტები ამბობენ, რომ კენგურუბურთი ფეხის კუნთებს ამაგრებს და ტანს მოხდენილობას უნარჩუნებს.



ს უ რ ა თ ზ ე: 1968 წლის „მის ნორვეგია“—ტოვე კნარანი და ოსლოში ცნობილი ბალეტის მოცეკვავე გრეტა ნერდუმი (მარჯვნივ) რეკლამას უწევენ კენგურუბურთს.

ფოტო „შტერნ“—ას-ისა.

## პირველი მოგებულია

ლაიპციგში გუშინწინ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩი კალათბურთელ ვაჟთა შორის. გდრ-ის ჩემპიონმა „ფორვერტსმა“ მიიღო ცხკა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 66:54. საბჭოთა კალათბურთელებმა გადამწყვეტ უპირატესობას შესვენების შემდეგ მიაღწიეს, როცა 15 ქულით დაწინაურდნენ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ვაჟთა გუნდების კიდევ 2 შეხვედრა მოეწყო: ბუქარესტის „დინამომ“ მოუგო ბრნოს „სპარტაკს“ — 100:85, ხოლო ვენაში ავსტრიის ჩემპიონმა „ჰანდესმინისტერიუმმა“ სძლია ათენის „პანათინაიკოსს“ — 84:76. სოფიაში ერთმანეთს შეხვდნენ ამ გათამაშების მონაწილე ქალთა გუნდები — ადგილობრივი „აკადემიკი“ და ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 57:51 (27:26).

თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში „სტიაუამ“ (რუმინეთი) დაამარცხა „აპოელი“ (ტელ-ავივი) — 89:58.

## ბაკურიანი გვიხმობს!

თბილისელები თოვლით განებივრებული არა ვართ. ათასში ერთხელ თუ წამოვა ფანტელი, ათასში ერთხელ თუ გადათეთრდება გორაკები ქალაქის ირგვლივ და ბავშვებს სიხარულის ჟივილ-ხივილი შეუდგებათ.

ბაკურიანში ხვავრიელად თოვს. ბაკურიანს უკვე სქელი, ქათქათა ქურქი აცვია და თავისკენ გვიხმობს ფაფუკი თოვლითა და თეთრ კალთებზე არეკლილი ბრჭყვიალა მზით.

... დილაადრიან წამოცვივდებიან ბიჭები, თხილამურებს მოირგებენ და დათოვლილ ბილიკებს დაადგებიან. მერე რა, რომ ყველა სპორტის ოსტატი არ არის, მერე რა, რომ ზოგჯერ მარცხიც მოსდით და ფერდობზე ვაჟკაცურად დაშვებულნი რბილ თოვლში გულაღმა გაიშხლართებიან. სამაგიეროდ, უსაზღვროა ამ სილამაზით მონიჭებული სიხარული, დიდია ხალისი. შორს კი სოფელი ჩანს, თბილად ჩაბუდრებული დიდი თუ პაწია სახლებით. სახლებიდან კვამლი ამოდის — მთელ დღეს სრიალით დაქანცულთ საღამოს სითბოს და სიმყუდროვეს ჰპირდება.

ფოტო ვ. გენგიურისა და შ. ჩხეტიანისა.

## ახალ დისტანციაზე

სამხრეთის ნახევარსფეროში მძლეოსნური სეზონი თანდათან ძალაში შედის — გახშირდა „სპორტის დედოფლის“ რაინდთა ტურნირები. ადელაიდაში გამართულ შეჯიბრებაში 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ავსტრალიის რეკორდსმენმა კ. ო'ბრაიენმა 3 მილზე (4828 მ) სცადა ძალა და კიდეც გაიმარჯვა — 13.23,8.

მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა 80 მეტრზე თარჯრბენში მ. კეირდმა სიდნეიში ახალ დისტანციაზე — 100 მეტრზე თარჯრბენში იასპარეზა. 17 წლის სპორტსმენმა 13,5 წამი აჩვენა, რაც 0,1 წამით ჩამორჩება მისი თანამემამულე პ. კილბორნის მსოფლიო მიღწევას. აქვე მანამდე უცნობმა მ. მაკ-გრატმა სამხტომში 16,29 მ აჩვენა, მაშინ, როცა ამ ქვეყნის რეკორდსმენი ფ. მეი, რომელმაც მეხიკოში VI ადგილი მოიპოვა (17,02), პერტის სტადიონზე მხოლოდ 15,33 მეტრზე გადახტა. სამაგიეროდ ეს უკანასკნელი ბრწყინვალედ გამოვიდა სიგრძეზე ხტომაში. მართალია, ცოტა ზურგის ქარიც ქროდა, მაგრამ შედეგები — 800, 802 და 807 სმ (ეს ქვეყნის რეკორდს სჯობს) ერთობ სტაბილურია. ამავე ტურნირში ჯ. ბენეტიმ 200 მ 23,8 წამში დაფარა.

მელბურნის სტადიონზე ასეთივე შედეგით გაიმარჯვა მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ჯ. ლამმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 ტურის შემდეგ

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის V და VI ტურმა სნაიპერთა ათეული გადაახალისა. მართალია, უძლიერესთა სიაში მხოლოდ ერთი ახალი გვარი გამოჩნდა (ათეული დატოვა მოსკოვის არმიელმა ანდრეევმა და მისი ადგილი დაიკავა „სტროიტელის“ თავდამსხმელმა ვალტინმა), მაგრამ ძველებმა, ბევრ შემთხვევაში, როლები გაცვალეს. მაგალითად, დაირღვა ალმაათელთა ტრიუმვირატი (ვეისმანი, ნიკიშინი, პოზდნიაკოვი), რომელიც 4 ტურის შემდეგ I-IV ადგილებზე იყო განაწილებული. ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელები პოლივოდა („სტროიტელი“) და პაულაუსკასი („ჟალგირისი“). ისე კი, ნაკრების წევრები სიაში საკმაოდ მოკრძალებულად არიან წარმოდგენილი: მხოლოდ ოთხი ოლიმპიელი (პოლივოდა, პაულაუსკასი, კოვალენკო და ბელოვი) იბრძვის უძლიერესი სნაიპერის სახელისთვის. დანარჩენი კანდიდატები, როგორც იტყვიან, ჩვეულებრივი მოკვდავები არიან.

აი, როგორ გამოიყურება სნაიპერთა სია 6 ტურის შემდეგ:

1. ვეისმანი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა) 125 ქულა
2-3. პოლივოდა („სტროიტელი“, კიევი) 124
2-3. პაულაუსკასი („ჟალგირისი“, კაუნასი) 124
4. იურგენსონი (ვეფ, რიგა) 119
5. მოსეშვილი („დინამო“, თბილისი) 109
6. კოვალენკო („ბურევესტნიკი“, თბილისი) 106
7. ვალტინი („სტროიტელი“, კიევი) 97
8. ბელოვი (ცსკა) 93
9. ნიკიშინი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა) 91
10. პოზდნიაკოვი („ლოკომოტივი“, ალმა-ათა) 90

იცვალა სახე ცალკეული გუნდების სნაიპერთა სიამაც.

„დინამო“ (თბილისი). 1. მოსეშვილი — 109, 2. სხიერელი — 72, 3. ლეჟავა — 64. გუნდმა ჩაატარა 6 შეხვედრა, გაიტანა 453 ბურთი.

ასკ (კიევი). 1-2. ნოვიკოვი, ბრიანცევი — 78-78, 3. სალუხინი — 70. მატჩი — 6, ბურთი — 403.

ცსკა. 1. ბელოვი — 93, 2. ანდრეევი — 70, 3. კაპრანოვი — 55. მატჩი — 6, ბურთი — 464.

„სპარტაკი“ (ლენინგრადი). 1-2. ბიკოვი, ბელოვი — 88-88, 3. ივანოვი — 81. მატჩი — 6, ბურთი — 441.

„სტროიტელი“ (კიევი). 1. პოლივოდა — 124, 2. ვალტინი — 97, 3. პოგულიაი — 53. მატჩი — 6, ბურთი — 410.

„კალევი“ (ტარტუ). 1. კრიკუნი — 83, 2. ტომსონი — 80, 3. ლილი — 54. მატჩი — 6, ბურთი — 416.

ვეფ (რიგა). 1. იურგენსონი — 119, 2. კაცენსი — 78, 3. ჟვიგურსი — 43. მატჩი — 6, ბურთი — 419.

ასკ (რიგა). 1. ფრეიმანისი — 74, 2. ეგლიტისი — 64, 3. სტრელისი — 53 მატჩი — 6, ბურთი — 404.

„ჟალგირისი“ (კაუნასი). 1. პაულაუსკასი — 124, 2. ჟუკაუსკასი — 60, 3. ვენზბერგასი — 56. მატჩი — 6, ბურთი — 443.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი). 1. კოვალენკო — 106, 2. ლომაძე — 57, 3. ბიჭიაშვილი — 56. მატჩი — 6, ბურთი — 355.

„დინამო“ (მოსკოვი). 1. ილიუკი — 70, 2. ბოლოშევი — 64, 3. სოკოლოვი — 61. მატჩი — 6, ბურთი — 376.

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა). 1. ვეისმანი — 125, 2. ნიკიშინი — 91, 3. პოზდნიაკოვი — 90. მატჩი — 6, ბურთი — 442.

ჩვენ ტრადიციულად დავაჯამეთ სსრ კავშირის ნაკრების წევრთა სნაიპერული მონაცემები და მათ მიერ თამაშში გატარებული დროის ხანგრძლივობა.

1. პოლივოდა („სტროიტელი) — 6 მატჩი, 219 წუთი, 124 ქულა
2. პაულაუსკასი („ჟალგირისი“) — 6, 181, 124
3. კოვალენკო („ბურევესტნიკი“) — 6, 240, 106
4. ბელოვი (ცსკა) — 6, 117, 93
5. კრიკუნი („კალევი“) — 6, 182, 83
6. ტომსონი („კალევი“) — 6, 204, 80
7. ანდრეევი (ცსკა) — 6, 147, 70
8. კაპრანოვი (ცსკა) — 6, 120, 55
9. ვოლნოვი (ცსკა) — 6, 105, 50
10. ხაკანდელიძე („დინამო“, თბილისი) — 6, 167, 49
11. სელიხოვი (ცსკა) — 6, 96, 41
12. ლიპსო (ცსკა) — 5, 97, 38.

სულ ნაკრების წევრებმა საკავშირო ჩემპიონატის ექვს ტურში 910 ბურთი გაიტანეს.

ნაკრების მიღმა დარჩენილი საუკეთესო სნაიპერებისგან შევადგინეთ სიმბოლური გუნდი და მისი მაჩვენებლები რეალურ ნაკრებს დავუპირისპირეთ. აი, როგორი სურათი მივიღეთ:

1. ვეისმანი („ლოკომოტივი“) — 125 ქულა
2. იურგენსონი (ვეფ-ი) — 119
3. მოსეშვილი („დინამო“) — 109
4. ვალტინი („სტროიტელი“) — 97
5. ნიკიშინი („ლოკომოტივი“) — 91
6. პოზდნიაკოვი („ლოკომოტივი“) — 90
7-8. ბელოვი („სპარტაკი“) — 88
7-8. ბიკოვი („სპარტაკი“) — 88
9. ივანოვი („სპარტაკი“) — 81
10-12. ნოვიკოვი (ასკ, კიევი) — 78
10-12. ბრიანცევი (ასკ, კიევი) — 78
10-12. კაცენსი (ვეფ-ი) — 78

ერთ მატჩში დაგროვილი ქულების მიხედვით (ასეთი ტიპის სნაიპერებს ხშირად მიკროსნაიპერებს ეძახიან) პირველ ადგილზე არიან: მოსეშვილი („დინამო“, თბილისი), პოლივოდა („სტროიტელი“), ბიკოვი („სპარტაკი“) და იურგენსონი (ვეფ-ი)—30-30 ქულა. ცხადია, ზემოჩამოთვლილი კალათბურთელები წამყვანი მიკროსნაიპერები არიან თავიანთ გუნდებში. სხვა კოლექტივებში კი ასეთი მდგომარეობაა: კოვალენკო („ბურევესტნიკი“) — 21 ქულა, ბელოვი (ცსკა) — 22, ბრიანცევი (ასკ, კიევი) — 19, პაულაუსკასი („ჟალგირისი“) — 28, ფრეიმანისი (ასკ, რიგა) —25, კრიკუნი („კალევი“)—23, ილიუკი („დინამო“, მოსკოვი) — 19, ვეისმანი („ლოკომოტივი“) — 29.

როგორც ცნობილია, საკავშირო ჩემპიონატში 2-2 კოლექტივით 4 ქალაქი გამოდის — მოსკოვი, კიევი, რიგა და თბილისი. წარმოვიდგინოთ, რომ ამ გუნდებისთვის ტარდება პარალელური ჩათვლა.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 8 | 6 | 2 | 542—488 | 6 |
| კიევი | 6 | 5 | 1 | 403—389 | 5 |
| თბილისი | 8 | 4 | 4 | 606—520 | 4 |
| რიგა | 10 | 1 | 9 | 650—714 | 1 |

ყოველმა ქალაქმა ჩემპიონატის მანძილზე უნდა ჩაატაროს 24 მატჩი. ასე რომ, სატურნირო ცხრილი, რომელსაც ამიერიდან სისტემატურად ვაწარმოებთ, კიდევ ბევრჯერ იცვლის სახეს.

ნ. ბუზუშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# კოვალენკო: 16-დან 16!

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 73:71 (26:40, 62:62).

„ბურევესტნიკი“: კოვალენკო (34), გლურჯიძე (8), ლომაძე (8), ჩხიკვაძე (7), ჯულელი (6), მანაგაძე (4), ბიჭიაშვილი (2), ლეჟავა (2), პულავსკი (2), მაისურაძე.

„ჟალგირისი“: პაულაუსკასი (23), ვენზბერგასი (10), რუზგასი (10), გედრაიტისი (6), ჟუკაუსკასი (6), კაზიუნასი (6), ბუდნიკასი (4), ვენცლოვასი (3), სარპალიუსი (2), ჩუპკოვასი (1), შიდლაუსკასი.

მსაჯები: ვ. ბაბუშკინი (ხარკოვი) და ვ. ტიჩინინი (ლუგანსკი).

არის მომენტები ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებაში, როცა ყოველგვარი შეფასება უსუსური, უმწეო, ღარიბი გეჩვენება. გინდა სრულყოფილად შეაფასო მეტოქეთა თამაშის ესა თუ ის მხარე და თავს იჭერ იმაში, რომ ვერც ერთი შენს მიერ მოგონილი მეტაფორა სიზუსტით ვერ ამოწურავს ნანახსა და განცდილს. მაინც ვბედავთ და მასპინძლების თამაშს VII ტურის ამ მატჩში უბადლოს ვუწოდებთ.

მომიტევონ ჩვენმა სტუმრებმა, თუ წერილში ყურადღებას თბილისელთა თამაშზე გავამახვილებთ, ვინაიდან ძალზე ობიექტური მაყურებელიც კი იმ დღეს გულგრილი ვერ დარჩებოდა მასპინძელთა ოსტატობის მიმართ.

ორიოდე სიტყვა ჩვენს მეტოქეებზე: კაუნასელები თბილისში ერთ-ერთ ლიდერებად ჩამოვიდნენ და, ბუნებრივია, რომ თავიანთი პოზიციების გამაგრების იმედით იბრძოდნენ. ამ იმედს კიდევ უფრო ამტკიცებდა მათ რიგებში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის პაულაუსკასის ყოფნაც. ჩვენ შორს ვდგევართ იმ აზრისგან, რომ ლიტველი მართლაც შესანიშნავი ოსტატია და ამიტომ მის თამაშში ხარვეზები არ დავინახოთ. პაულაუსკასი საუცხოოდ ხედავს მოედანს, სწრაფია, ზუსტად ისვრის კალათში და აქვს სპორტსმენისთვის სხვა აუცილებელი ღირსებებიც. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ დღეს იგი ზედმეტად არტისტობდა (ამ სიტყვის ცუდი გაგებით), რითაც სამართლიან გულისწყრომას იწვევდა არა მარტო მაყურებელთა, არამედ თანაგუნდელთა შორისაც. გაუთავებელი ოხვრა და მსაჯების მიმართ მავედრებელი ჟესტები თითქოსდა უხეში თამაშის გამო, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვიმეორებთ, პაულაუსკასი დიდოსტატია და მას არ უნდა სჭირდებოდეს ასეთი იაფფასიანი ხერხები.

ჩვენს გაზეთში დაიწერა, რომ ბევრ გუნდს კოვალენკოს პრობლემა გადაუჭრელი ექნება. ეს სავსებით გამართლდა ამ შეხვედრაშიც, ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმში და დამატებით დროში მაინც. კოვალენკო ამ დღეს თამაშობდა ისე, როგორც არასდროს უთამაშია ალბათ. მართალია, შესვენებამდე მან ფრთები ვერ გაშალა, მაგრამ შესვენების შემდეგ ბურევესტნიკელებმა სწორად წარმართეს თამაში და შედეგმაც არ დააყოვნა: კოვალენკო ან თვითონ აგდებდა ბურთს, ანდა ლომაძის, გლურჯიძის, ჯულელისა და ჩხიკვაძის ტყორცნა აღწევდა მიზანს. სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, რომ ხელი შეეშალათ კოვალენკოსთვის ბურთის მიღებაში და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, ჯარიმდებოდნენ. აქ პირდაპირ უნდა ითქვას: მსგავსი რამ კალათბურთში ერთობ იშვიათად ხდება— კოვალენკოს ნასროლი 16 საჯარიმოდან არც ერთი არ ასცდენია მიზანს. საოცარი სიზუსტეა! ნუ გვიწყენენ დანარჩენი ბურევესტნიკელები, მაგრამ ამ მატჩში კოვალენკოს დამსახურება განუზომელია, თუმცა დანარჩენების მხარდაჭერაც რომ არა, ასეთ შეთანხმებულ ანსამბლს ვერ ვიხილავდით.

ახლა თვით მატჩის შესახებ. პირველი წუთები დაზვერვას მოუნდა. მე-5 წუთისთვის სტუმრები დაწინაურდნენ — 6:4. მომდევნო ორ წუთში ანგარიში საყაიმო გახდა — 8:8, ხოლო მე-7 წუთზე პირველად დაწინაურდნენ მასპინძლები — 10:8. როცა პირველი ტაიმის ნახევარი ამოიწურა, სტუმრები იგებდნენ 3 ქულის სხვაობით — 19:16. შემდეგი ერთი წუთის მანძილზე კაუნასელებმა ისარგებლეს დაცვაში თბილისელთა შეცდომებით და ზედიზედ 3 ბურთი მოათავსეს მასპინძელთა კალათში — 25:16. მომდევნო 6 წუთის მანძილზე განსხვავებამ 12 ქულას მიაღწია, ხოლო ტაიმი კაუნასელებმა მოიგეს — 40:26.

შესვენების შემდეგ პირველ ათ წუთს მასპინძლები ფსიქოლოგიურ შოკში იყვნენ და ვერაფრით ვერ შეძლეს განსხვავების მინიმუმამდე დაყვანა. გარდატეხის ჟამი, ჩვენი აზრით, დადგა 34-ე წუთზე, როცა თბილისელებმა ზედიზედ ორი ზუსტი ტყორცნით ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს. 38-ე წუთზე ანგარიში 60:54 სტუმრების სასარგებლოდ. და აქ სტუმრები ზედიზედ ჯარიმდებიან: კოვალენკო საოცარი სიმშვიდით აგდებს 6 საჯარიმოს და ანგარიში გათანაბრდა — 60:60.

მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე კაუნასელები იგებდნენ 2 ქულით და ჯულელის ფარქვეშ გასვლამ კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 62:62.

დამატებით დროში კი კოვალენკოს შესანიშნავად აუბა მხარი ჩხიკვაძემ, რომელმაც 7 ქულა შესძინა გუნდს, და მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამ თბილისელთა დამსახურებული გამარჯვება აღნიშნა.

ა. მხეიძე.

* * *

სურათზე: ს. კოვალენკო უტევს მეტოქის კალათს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## გუშინ...

შედგა ამ გუნდების მეორე შეხვედრა. ამჯერად გაიმარჯვეს სტუმრებმა — 76:63 (43:25).

# დღეს სტარტია

დღეს მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში იწყება კალათბურთელ ქალთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი.

**მოსკოვში** თამაშობენ ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სპი) და კიევის „დინამო“.

**ნოვოსიბირსკში** იასპარეზებენ რიგის ტტტ, ტარტუს უსკ, ვილნიუსის „კიბირკშტისი“, ლენინგრადის ასკ, სვერდლოვსკის „ურალმაში“ და ნოვოსიბირსკის „დინამო“.

მოგვყავს I წრის I ტურის შეხვედრათა კალენდარი.

### მოსკოვის ჯგუფი

**22 დეკემბერი.** „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი), სპი (თბილისი) — „დინამო“ (კიევი).

**23 დეკემბერი.** „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ — „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი) — სპი.

**24 დეკემბერი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — სპი, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“.

**26 დეკემბერი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — სპი, „ბურევესტნიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

**27 დეკემბერი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), სპი — „ბურევესტნიკი“, „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი).

### ნოვოსიბირსკის ჯგუფი

**22 დეკემბერი.** ტტტ (რიგა)—უსკ (ტარტუ), „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი)—ასკ (ლენინგრადი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი).

**23 დეკემბერი.** უსკ — „დინამო“, ასკ — „ურალმაში“, ტტტ — „კიბირკშტისი“.

**24 დეკემბერი.** „კიბირკშტისი“ — უსკ, „ურალმაში“ — ტტტ, „დინამო“ — ასკ.

**26 დეკემბერი.** უსკ — ასკ, ტტტ — „დინამო“, „კიბირკშტისი“ — „ურალმაში“.

**27 დეკემბერი.** „ურალმაში“ — უსკ, „დინამო“ — „კიბირკშტისი“, ასკ — ტტტ.

**შენიშვნა:** 25 დეკემბერი დასვენების დღეა.

# თბილისის დინამოელთა გამარჯვება

გუშინწინ გაიმართა VII ტურის მატჩები.

**მოსკოვი.** უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი და თბილისის დინამოელების მატჩი. თამაშის დამთავრებამდე 38 წამით ადრე ბურთი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერი გააწყეს და დამარცხდნენ — 69:70.

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ თავის აქტივში კიდევ 1 ქულა ჩაიწერა: ამჯერად დაამარცხა კიევის არმიელები—66:60.

**კიევი.** „სტროიტელმა“ მიიღო რიგის ვეფ-ი. თბილისში წაგებული ორი მატჩის შემდეგ რიგელებმა ვერც ამ შეხვედრაში გამოიჩინეს თავი და დამარცხდნენ — 62:74.

**ალმა-ათა.** პირველი გამარჯვების სიხარული იწვნიეს ადგილობრივმა რკინიგზელებმა: მათ დაამარცხეს რიგელი არმიელები — 82:78.




# მთავარია თამაშის დონე!

ვ. მდივანი

ძნელია მოიგონო, როდის გამოუწვევია ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო ჩემპიონატის, უფრო ზუსტად კი სეზონის შედეგების განხილვას აზრთა ასეთი მრავალფეროვნება და საკითხების ასეთი ფართო წრე.

მართალია, ეს ყველას როდი უჯდება ჭკუაში. ზოგიერთები ძალიანაც კმაყოფილი არიან ქვეყნის XXX პირველობით და ამიტომ მარტო ამ ჩემპიონატზე ლაპარაკი ურჩევნიათ. გასაკვირი როდია, რომ ასეთები საფეხბურთო სინამდვილეს ვარდისფერი სათვალით უყურებენ და იდილიურ სურათს ხატავენ. ისინი ასე მსჯელობენ: რა საჭიროა საერთაშორისო შეხვედრების შედეგების გახსენებაო. მათი საბუთებით, ყველაფერი უკვე ბევრჯერაა ნათქვამი და დალეჭილი, და თუ არ თქმულა, მით უკეთესი, რადგან წვრილმანებზე დახურდავება არ ღირსო. სულ სხვაა ქვეყნის ჩემპიონატი: რა წარმატებაა, რა საზრდო მსჯელობისა და დასკვნების გამოტანისთვის!

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ: ჩვენ არც ის გვინდა, რომ დავამდაბლოთ ძირითადი და გადამწყვეტი შიდასაქვეყნო საფეხბურთო მოვლენების როლი, არც ის, რომ არად ჩავაგდოთ ძვრები ჩვენი საფეხბურთო ელიტის წამყვან კოლექტივებში, არც ის, რომ არ დავაფასოთ საბჭოთა ფეხბურთში შემოჭრილ სიახლეთა ხარისხი — ყველაფერი დადებითი და საიმედო, რაც ბოლო ჩემპიონატშიც გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატიდან გამოტანილ დასკვნებს არ შეიძლება მივანიჭოთ მეტისმეტად ზოგადი და აბსოლუტური ხასიათი.

რადგან: ჯერ ერთი, ამ ჩემპიონატის შედეგები საშუალებას გვაძლევს შევაჯამოთ არა უეჭველი, არამედ შეფარდებითი, მეტოქეთა ძალასთან და წარსულ მაჩვენებლებთან შედარებული მიღწევები. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, უეჭველია პროგრესი მოსკოვის გუნდებისა („სპარტაკი", „ტორპედო", ცსკა, „დინამო", „ლოკომოტივი"), რომლებმაც საერთო ჯამში შარშანდელი მეცხრე ადგილიდან წლეულს მეოთხეზე გადაინაცვლეს. ძალთა განაწილებაში უსწრაფესი ცვლილებები მოხდა მოსკოვის ფეხბურთის სასარგებლოდ. წარმატებაა! მაგრამ ძნელია ითქვას, ეს წარმატება რამდენად საბჭოთა ფეხბურთის საერთო წინსვლითაა გაპირობებული, რამდენად ამ კოლექტივების შინაგან ცხოვრებაში მიმდინარე ლოკალური პროცესებით, და რამდენად სხვა გუნდების თამაშის კლასის დაცემით.

მეორე: ჩვენში გარდა ელიტისა არსებობს მეორე და მესამე ეშელონების ოსტატთა ფეხბურთი, მომავალ ოსტატთა — ჭაბუკთა და ბავშვთა ფეხბურთი, და ბოლოს, არსებობს მასობრივი ფეხბურთი, რომელიც 4 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. და თვითეულ მათგანს ჰყავს თავისი გმირები, აქვს თავისი წარმატებები, თავისი საზრუნავი და ამოცანები.

მესამე: სპორტული კლასის ზრდაზე, საბჭოთა ფეხბურთის წინსვლაზე უფრო დამაჯერებლად და აბსოლუტურად მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მას უშუალოდ მსოფლიო ფეხბურთს დავუპირისპირებთ, თუ ვიმსჯელებთ საერთაშორისო შეჯიბრებებში ნაჩვენებ შედეგებზე (წარმატებასა და მარცხზე). ამ თვალსაზრისით კი ჩვენ არ ვბრწყინავდით. ამიტომ ვერ დავეთანხმებით მათ, ვინც გვირჩევს საპირეს კი არა, სარჩულს დავაკვირდეთ.

არ ღირს შინაურ სარბიელზე წარმატებებით გულის დამშვიდება. ჩვენ უკვე ბევრჯერ გვიღალატა ამ შინაურმა კრიტერიუმებმა არა მარტო სპორტულ თამაშებში, არამედ ისეთ სახეობებშიც კი, სადაც შედეგები მკაცრად იზომება მეტრებით, წამებით, კილოგრამებითა და ქულებით. განა არ არიან სპორტსმენები, რომლებიც შიდასაქვეყნო შეჯიბრებებში ჩვენი თვალსაზრისით ულრესად მნიშვნელოვან შედეგებს გვიჩვენებენ, მერე კი, საპასუხისმგებლო საერთაშორისო ტურნირებში, როგორც იტყვიან, იმედს ვერ გვიმართლებენ? ბოლო ოლიმპიადის წინ იქნებ სწორედ ამ შინაურული შეფასებებისა და კრიტერიუმების გამო გამოითქვა ჩვენი სპეციალისტების ოპტიმისტური პროგნოზები ისეთ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ვაჟთა ტანვარჯიში. ერთ შემთხვევაში ეს სწრაფი წამები და შორი მეტრები მეხიკოს ბილიკებიდან თითქოს ქარმა გადახვეტა, მეორე შემთხვევაში კი ეს შედეგები საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად უკმარი აღმოჩნდა. თურმე მსოფლიო სპორტი ისეთ უზარმაზარ რეზერვებს ფარავდა, რომ ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვეძლო. ამას გარდა, როცა „შინაურ" შეჯიბრებებში ჩვენს ტანმოვარჯიშეებს განგებ მიუმატებდნენ ქულებს მეტოქეებზე „ფსიქოლოგიური" გავლენის მოხდენის მიზნით (ამაზე „სოვეტსკი სპორტში" აშკარად და თამამად წერდა მ. ვორონინი), რაღა გასაკვირია, რომ ეს მიღწევები მეხიკოში არ გამართლდა. მოდით, დავიცვათ ეს დალოცვილი წესი: სჯობს ჯერ თავმდაბლურად შევხედოთ საკუთარ შესაძლებლობებს და მერე შევიცვალოთ აზრი, ვიდრე წინასწარ გადაჭარბებული შეფასება მივცეთ მათ და მერე სირცხვილი ვჭამოთ.

კვლავ ამტკიცებენ (ბესკოვის ბოლო სტატია, მაგალითად), ტექნიკური ოსტატობით ჩვენი ფეხბურთელები არ ჩამოუვარდებიან თავიანთ უცხოელ კოლეგებსო. რასაკვირველია, რამდენიმე ჩვენს ფეხბურთელზე ეს შეიძლება ითქვას. მაგრამ საერთოდ რომ შევადაროთ ერთმანეთს ჩვენი და სხვა ნაკრები გუნდები? შევადაროთ ჩვენი და სხვების უმაღლესი ლიგები? ორივე შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ტექნიკის საერთო დონით ჩამოვრჩებით სხვა მოწინავე საფეხბურთო სახელმწიფოებს. აღმოჩნდება ისიც, რომ ჩვენში იშვიათად არიან ცალკეული ტალანტები, რომლებიც უფრო მეტნიც უნდა ყოფილიყვნენ, ასე სტანდარტულად რომ არ ვზრდიდეთ ფეხბურთელთა ცვლას, რომ გვიყვარდეს და შეგვეძლოს ამ ცალკეული მოთამაშეებისთვის მინდორზე თავისუფალი მოქმედების უფლების მიცემა კოლექტიური ინტერესებით.

სამწუხაროდ, ზოგჯერ უფრო შორსაც მივდივართ: ყოველი ღონით ცდილობენ გამორჩეული ფეხბურთელები როგორმე ჩვეულებრივ მოთამაშეებად აქციონ. არც იმის წინააღმდეგი არიან, რომ სულაც მოიშორონ თავიდან ასეთი სპორტსმენები. მაგალითად, თავის დროზე ძალისა და ტალანტის გაფურჩქვნის პერიოდში გამოაძევეს ნაკრებიდან მსოფლიო კლასის ფეხბურთელები მეტრეველი და მესხი. სამაგიეროდ, ამ გუნდში ადგილი გამოიძებნა გლოტოვისთვის. ვადამდე გარიცხეს დიდი ფეხბურთიდან ლობანოვსკი და ბიბა. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ტექნიკა და, საერთოდ, ინდივიდუალური ოსტატობა ჯერჯერობით ჩვენი ფეხბურთის მტკივნეული ადგილია.

თუ ვერ შენიშნავენ, ნაკლოვან მხარეებს არც ებრძვიან. ამას გარდა, ამას მოჰყვება ძალთა გადაჭარბებული შეფასება, დემობილიზაცია, თვითდამშვიდება, ბრძოლის სიძნელეებისთვის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა. ყოველივე ამისთვის პასუხს ვაგებთ.

მაგრამ ერთი წუთით ვირწმუნოთ, თითქოს ნაკლოვანებები არ არსებობს, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი ნათელია. მაშ რატომ იწვევს უკმაყოფილებას სამამულო ფეხბურთის არსებული ორგანიზაციული ფორმები, რატომ წარმოიქმნა დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებები თამაშის ორგანიზაციაზე, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან ქვეყნის ჩემპიონის მწვრთნელი (იხ. მასლოვის წერილი „ფუტბოლ-ჰოკეის" 43-ე ნომერში) და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი? რატომ ჩაღდება ასეთი გაცხოველებული კამათი ჩვენს პრესაში, პირველ ყოვლისა კი „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე? განა ნათელი არ არის, რომ ამ საქმეში მთავარი მიზეზი იყო ჩვენი ფეხბურთის წარუმატებლობა საერთაშორისო სარბიელზე? ეს წარუმატებლობანი, რომლებიც არსებულ ნაკლოვანებებზე მეტყველებდნენ, ამ კამათში სულ უფრო მრავლად იკრებდნენ გარს საბჭოთა ფეხბურთის ორგანიზაციის შემდგომი განვითარების საჭირბოროტო პრობლემებს.

განა შემთხვევით მოხდა, რომ ამ გაზაფხულს მოსკოვის „ტორპედო" თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში არც მაინცდამაინც ძლიერ გუნდთან დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა? განა ჩვენმა ჩემპიონმა კიევის „დინამომ" შუა სეზონში შემთხვევით იწვნია გამანადგურებელი მარცხი საზღვარგარეთ გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში? განა შემთხვევით იყო, რომ წინაოლიმპიურ შესარჩევ თამაშებში სსრ კავშირის ნაკრებმა მეხიკოს გზა დაუთმო ჩეხოსლოვაკიის არა პირველ გუნდს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ცუდი თამაშით გვატკინა გული?

მეტისმეტად ბევრი „შემთხვევითობა" ხომ არ გამოდის? უფრო ერთი ჯაჭვის რგოლებს ხომ არ მოგაგონებთ ეს ამბები? განა უფრო სწორი არაა ის აზრი, რომ წლეულს საგრძნობლად დავთმეთ საფეხბურთო პოზიციები? აქ მთავარი დაკარგული ადგილები, მარცხი და გაუმართლებელი იმედები როდია, მთავარია თამაშის დონე ამ შეხვედრებში, რომელიც ჩვენს ფეხბურთს არ ეკადრებოდა და რომელმაც საგრძნობლად შეარყია მისი პრესტიჟი.

ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის, რომ სერიოზულ მიზეზებთან ერთად თავისი როლი შეასრულა შემთხვევითმა თუ უხეშმა შეცდომებმა, რამაც გავლენა მოახდინა თამაშზე და შედეგებზე. „ტორპედოს" გათამაშებამ განახლებისა და გარდაქმნების პროცესში მოუსწრო. კიევის „დინამო", თუ შეიძლება ითქვას, პირდაპირ თვითმფრინავიდან ჩაება ასპარეზობაში. ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებმა კი თითქოს საგანგებოდ დაისახეს მიზნად უხეირო გამოსვლა.

გაუთავებელი შეკრებები, რაც იწვევდა ფეხბურთელთა მოწყვეტას მშობლიური კოლექტივებიდან, ხანგრძლივი „ტურისტული" მოგზაურობები სერიოზული წვრთნის მაგიერ, მოთამაშეთა უკონტროლო შერჩევა, და ბოლოს, ნაკრების მეტისმეტად საეჭვო შემადგენლობა. ორიენტაცია ერთ გუნდზე, რომელსაც ორი კურდღლის დაჭერა ჰქონდა მიზნად დასახული (ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოლიმპიური ჯილდო). უსიამოვნო იყო ტაქტიკა, როცა ყველაზე მეტად იმაზე ზრუნავდნენ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს უცხო მოთამაშეების კვალზე ერბინათ. აქედან: ასეთი ტიპის მოთამაშეების მოკრებისკენ სწრაფვა. არადა, ნამდვილი ფეხბურთი მაშინ იწყება, როცა შენ კი არ მისდევ, შენ მოგდევს მეტოქე.

(დასასრული იქნება).

# იკაროსები ფრენისთვის ემზადებიან



გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ტრამპლინიდან მხტომელებმა დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს. 20 წლის ლენინგრადელმა ვ. ბელოუსოვმა მსოფლიოს უძლიერესი მხტომელები ჩამოიტოვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

რა მდგომარეობაშია ამჟამად, ახალი სეზონის დაწყების წინ, სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები გუნდები? ამ შეკითხვით დაიწყო აას-ის კორესპონდენტის საუბარი ორჭიდისა და ტრამპლინიდან ხტომის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანთან ვ. ტატარინცევთან.

— გრენობლის ოლიმპიადის შედეგებზე მსჯელობისას მწვრთნელები უფრო კრიტიკულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ, ვიდრე ქებას. სპეციალისტებმა ჯეროვნად შეაფასეს ბელოუსოვის წარმატება, შემდეგ კი გააკრიტიკეს სხვა მხტომელები, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოიყენეს. მათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა ტრამპლინიდან მხტომელებს ყველაზე მეტად უჭირთ დაშვება, ფრენის დამაჯერებლად, ლამაზად დამთავრება.

სპორტსმენებს შესთავაზეს ვარჯიშების ვრცელი ნაერთი, რომელიც დაეხმარებოდათ ამ შეცდომებისგან თავის დაღწევაში. წლევანდელ სეზონში საბჭოთა მხტომელები გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ მცირე სიმძლავრის ტრამპლინზე (25-30 მ). ამან სპორტსმენებს საშუალება მისცა ბეჯითად შეესწავლათ დაშვების ტექნიკა. ვერ ვიტყვი, რომ ყველა სიძნელე უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ბევრმა სპორტსმენმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. განსაკუთრებით გვახარებს პერსპექტიული ა. ჟეგლანოვი (ლენინგრადი). მან უარი თქვა დაშვების მოძველებულ ხერხზე და საკმაოდ სწრაფად აითვისა ახალი. ჟეგლანოვმა ორ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და მსაჯებს არც ერთხელ არ შეუნიშნავთ მის სტილში სერიოზული შეცდომები. ასე, რომ, ამ სპორტსმენს, რომელმაც გრენობლში VI ადგილი დაიკავა, ახლა უფრო მნიშვნელოვანი წარმატების შანსი აქვს.

*● ამჟამად უცხოელი სპეციალისტები ბევრს ლაპარაკობენ ტრამპლინიდან ხტომის „საბჭოთა სკოლაზე". როგორია მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები?*

— ვფიქრობ, მთავარია სპორტსმენთა მეტად მაღალი საერთო ფიზიკური მომზადება. საბჭოთა ნაკრების გასული წლების ლიდერები: ნ. კამენსკი, კ. წაქაძე, ნ. შამოვი და სხვები, მიუხედავად ბევრი ღირსებისა, არ იყვნენ მრავალმხრივ განვითარებული სპორტსმენები. სწორედ ამიტომ ვერ გახდნენ პირველი რანგის ვარსკვლავები. სულ სხვაა მათი ცვლა, მხტომელთა ახალი თაობა — ბელოუსოვი, ა. ივანიკოვი, ვ. შჩერბაკოვი. ისინი ბევრს ვარჯიშობენ აკრობატიკასა და ნიჩბოსნობაში, აპობენ და ხერხავენ შეშას, თიბავენ ბალახს, თამაშობენ ფეხბურთს. ამიტომ ტრამპლინზე ეს სპორტსმენები უპირველეს ყოვლისა მძლავრი, კოორდინირებული ბიძგით გამოირჩევიან, რაც ჩვენს სახეობაში საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ამის მიღწევა ხოლიდური საერთო ფიზიკური მომზადების გარეშე შეუძლებელია.

*● გვიამბეთ სამეცნიერო ბრიგადაზე, რომელიც მხტომელებთან მუშაობს.*

— ბრიგადის მუშაობას ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი მხტომელი ე. გროზინი. ახლა იგი მეცნიერებათა კანდიდატია. გასაგებია, რომ ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სპორტსმენებსა და მეცნიერებს შორის სრული ნდობისა და ურთიერთგაგების დამოკიდებულების სწრაფად შექმნას. მეცნიერების განკარგულებაშია საუკეთესო თანამედროვე აპარატურა. შევნიშნავ, რომ პირადად მე ჟეგლანოვის პროგრესი, პირველ ყოვლისა, მეცნიერების დახმარებას უნდა მივაწერო. სხვა სპორტსმენებიც მეტად კმაყოფილი არიან მათი. ვერც ჩვენს მწვრთნელებს წარმოუდგენიათ გროზინის ბრიგადის გარეშე მუშაობა.

*● 1969 წელს შვეციაში ჩატარდება იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი ტრამპლინიდან ხტომაში. როგორ ემზადებიან ამ პირველობისთვის ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენები?*

— ამ შეჯიბრების დაწყებამდე ორასამდე მხტომელს შევამოწმებთ. გუნდის საბოლოო შემადგენლობას იანვრის დასაწყისში, საკავშირო შეჯიბრების შემდეგ დავადგენთ. მაგრამ ყველაზე ნაღდი კანდიდატების დასახელება ახლაც შეიძლება. ესენი არიან: ე. ბრიჩკინი (მოსკოვი), ა. ჟორკოვი (კიროვი), ლენინგრადელები ვ. გალკინი, ა. ტრავინი, მ. აბრამოვი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლანდელი იუნიორების სვლა ოსტატობის მწვერვალისაკენ უფრო ჰარმონიულია, ვიდრე მათი წინამორბედებისა. ეს კი ახლო მომავალში აუცილებლად გამოიღებს სასურველ ნაყოფს.

*● ძირითადად რა შეჯიბრებები ელით საბჭოთა მხტომელებს მიმდინარე სეზონში?*

— ლენინგრადის მახლობლად, კავგოლოვოში, უკვე ჩატარდა დიდი შეჯიბრება. სსრ კავშირის პირველობა გათამაშდება ვოროხტაში 13-15 თებერვალს.

რამდენიმე სიტყვა საერთაშორისო კალენდარზე. საბჭოთა სპორტსმენები მეგობრობის თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ეს შეჯიბრება ჩატარდება მაღალ ტატრის მთებში (ჩეხოსლოვაკია). ჩვენთვის საინტერესო იქნება ტურნე ავსტრიასა და გფრ-ში. საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ ობერსდორფსა და ჰარმიშ-პარტენკირხენში (ორივე — გფრ), შემდეგ ინსბრუკსა და ბიშოფსჰოფენში. მე დავასახელე ყველაზე მთავარი სტარტები, ისე კი მათი რიცხვი გაცილებით დიდი იქნება.

## ოლიმპიური ჩემპიონი მეექვსე ადგილზე

დაიწყო სამი ტრამპლინის ტრადიციული ტურნირი. სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები პირველად ძალებს კავგოლოვოში ცდიდნენ. აქ ყველაზე უკეთ გამოვიდა ლენინგრადელი ა. ჟეგლანოვი, რომელმაც 222,2 ქულა მოაგროვა. მისი საუკეთესო ნახტომები 68,5 და 67 მეტრი იყო.

მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ გორკელები გ. ნაპალკოვი — 211,5 (63,5 და 67,5) და ვ. შჩერბაკოვი — 209,7 (63 და 70,2 მ).

ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა მ. გავამ IV ადგილი დაისაკუთრა. მან 203,8 ქულა დააგროვა (63,5 და 65,5 მ).

გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. ბელოუსოვი (ლენინგრადის ოლქი) მხოლოდ მეექვსე იყო—195,7 (63 და 60 მ).

კავგოლოვოდან სპორტსმენებმა გორკში გადაინაცვლეს. მესამე შეხვედრას ისინი მოსკოვში გამართავენ.



◆ რიგა. 21 დეკემბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე გუნდური ჩემპიონატის IX ტურში „ბურევესტნიკის" წარმომადგენელმა ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო საბჭოთა ქვეყნის ექს-ჩემპიონს მ. რანიკუს („იიუდი"). ამ გუნდების მატჩი ბურევესტნიკელთა დიდი უპირატესობითაა შეწყვეტილი — 6:0.



უაღრესად მძაფრი, მწვავე მომენტებითაა აღსავსე რეგბისტთა შეხვედრები. აი, ამ სურათზეც ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს ხედავთ.

ფოტო ა. საკოვისა.

## ინფორმაციის საათი...

◆ **მოსკოვი, 21 დეკემბერი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მორიგმა კალენდარულმა მატჩმა. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის დინამოელები. მასპინძლებმა წინადღით განცდილი მარცხის რევანში აიღეს — ანგარიშით 75:65 დაამარცხეს თბილისელები.**

◆ მარსელი, 21 დეკემბერი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ევროპის რეკორდსმენმა, ფრანგმა ა. მოსკონიმ — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან აჯობა მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს, ამერიკელ მ. ბარტონს. გამარჯვებულის დრო 2.01,3, ხოლო ბარტონისა — 2.01,4. ქალთა შორის ამ დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს დ. მაიერს (აშშ) — 2.16,0.

## სხვადასხვა მერიდიანზე

▲ იენში მოეწყო ევროპის თასის ნახევარფინალური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ადგილობრივი „კარლ ცაისის“ ვაჟთა გუნდმა წააგო „ვაშაშთან“—1:5.

▲ ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის სპორტის მოყვარულთა კავშირმა გადაწყვიტა გაისად, თებერვლის მეორე ნახევარში „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართოს საერთაშორისო შეჯიბრება — „ოლიმპიური შეხვედრა“. ტურნირში მონაწილეობისთვის მიიწვევენ ყველა ოლიმპიურ ჩემპიონსა და სხვა ტიტულოვან მძლეოსნებს.




# კონკურსის შედეგები

„დიდი კმაყოფილებით ვებმები კონკურსში. ალბათ ამ გრძნობითაა გამსჭვალული სპორტის ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივარი. კარგია, რომ თქვენი კონკურსი არ არის ჩვეულებრივი — პროგნოზული. მისი მიზანია, პირველ ყოვლისა, ცოდნა. მართალია, ჩვენ აქ არ გაგვაჩნია არა თუ საერთოდ რაიმე სპორტული ლიტერატურა, არამედ თქვენი გაზეთის ყველა ნომერიც კი, მაგრამ შევეცდები ბოლომდე ფეხდაფეხ მივსდიო კონკურსს“, — ასე გვწერდა კონკურსის დასაწყისში კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოდან (აზერბაიჯანის სსრ) იასონ ქაქაშვილი. ქაქაშვილს საპრიზო ადგილი არ დაუკავებია, მაგრამ თავისი 67 ქულით დაამტკიცა, რომ სპორტი მართლაც ძალიან უყვარს.

„თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა პირველმა მივულოცო დიდი წარმატება როგორც კონკურსში გამარჯვებულებს, საერთოდ, კონკურსის ყველა მონაწილეს. სასიხარულოა სპორტის ესოდენ პოპულარობა საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ „სპორტულმა უნივერსიტეტმა“ მიიზიდა არა მარტო სპორტის თაყვანისმცემლები, არამედ „ლელოს“ მკითხველთა დიდი ჯგუფი. მშობლიური ლანჩხუთიდან და სოფელ ქყონაგვრიდან გამოგზავნილ წერილებში ნათესავები და ახლო მეგობრები მთხოვდნენ ბოლომდე მეპასუხა ყველა სერიის კითხვებზე. მათი თხოვნა შევასრულე, მიუხედავად იმისა, რომ სიმფეროპოლში „ლელო“ საგრძნობი დაგვიანებით მოდის. კონკურსის საშუალებით ბევრი ახალი გავიგე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნდა კითხვები ქართული სპორტისა და ქართველ სპორტსმენთა შესახებ. გაზეთ „ლელოს“, კერძოდ კი „სპორტული უნივერსიტეტის“ მეშვეობით მოვუწოდებ ახალგაზრდა სპორტსმენებს, აღადგინონ ქართული სპორტული ტრადიციები და თავდაუზოგავად იბრძოლონ მსოფლიო არენაზე მისი გავლენის ზრდისთვის“, — ეს წერილი კი ახლახან მივიღეთ X სერიის პასუხებთან ერთად. მისი ავტორია ყირიმის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი ნუგზარ ტოროტაძე.

წერილი ბევრია, მათი ხასიათიც სხვადასხვაა. მაგრამ ძირითადად, რა თქმა უნდა, ყველა ავტორს, უფრო სწორად, კონკურსის ყველა მონაწილეს აინტერესებს შედეგები — ვინ მოხვდა საოცნებო საპრიზო ადგილებზე, ვინ მოაგროვა ქულათა აუცილებელი მინიმუმი — 80 ქულა.

კონკურსის ჟიურიმ გადაწყვიტა ხელახლა გულდასმით გადაეკითხა „სპორტული უნივერსიტეტის“ მონაწილეთა ყველა ის წერილი, რომელთა ავტორებიც ქულობრივი მონაცემებით პრიზების პრეტენზიას აცხადებდნენ. ამის შედეგად კონკურსის ჟიურიმ ზოგიერთი შესწორება შეიტანა გამარჯვებულთა სიაში და ამით შეაჯამა „სპორტული უნივერსიტეტის“ 8-თვიანი მუშაობა.*

კონკურსში გაიმარჯვა და პირველი პრიზი (კინოაპარატი) მოიპოვა **გურამ კაკაურიძემ** (თბილისი). მან 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 98 ქულა.

97 ქულით II ადგილი და მეორე პრიზი (ფოტოაპარატი) დაისაკუთრა **თენგიზ ლებანიძემ** (თბილისი).

96-96 ქულა მოაგროვეს და III-IV ადგილები გაიყვეს თბილისელებმა **გურამ ხარაზიშვილმა** და **ფარნაოზ ჯანყარაშვილმა**. ჟიურის გადაწყვეტილებით, მესამე პრიზი (ბაკურიანის 12-დღიანი საგზური ზამთრის პერიოდში) მიეკუთვნა გ. ხარაზიშვილს, ხოლო მეოთხე პრიზი (მაჯის საათი) — ფ. ჯანყარაშვილს.

ვინაიდან მეხუთე პრიზზე პრეტენზიას აცხადებს კონკურსის რამდენიმე მონაწილე, ჟიურიმ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეზარდა პრიზების რაოდენობა. დაჯილდოვდნენ ისინი, ვისაც 95-95 ქულა აქვს: **გია ახალაძე, ავთანდილ ბესიაშვილი**,** **გია ლორთქიფანიძე, ბაადურ ტაბიძე, ამირან ტაკიძე, გივი ჩეკურიშვილი** (ყველა—თბილისი) და **ელგუჯა ჯიჯიაშვილი** (გარდაბნის რ., სოფ. შინდისი). ადგილებს ამ შვიდ კაცში ჟიური ცალკე გაანაწილებს.

ჟიურიმ დააწესა სპეციალური პრიზებიც. ამ პრიზებით დაჯილდოვდებიან კონკურსის მონაწილე ქალები **ირმა** და **ლუიზა ადამაშვილები** (თბილისი), რომლებმაც ქალთაგან კონკურსის ბოლომდე „იასპარეზეს“. სპეციალურ პრიზს იმსახურებს ქუთაისელი **დანიელ ჯანაშვილი**—მაღალ პროფესიულ დონეზე და კარგი გემოვნებით დასურათებული, აგრეთვე, სპორტის დიდი სიყვარულით გამსჭვალული პასუხებისთვის.***

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ 10 სერიის ჯამში დააგროვეს:

**94 ქულა:** გ. კვაჭაძე, ჯ. ხუციბერიძე (ორივე — თბილისი), დ. ჯანაშვილი (ქუთაისი).

**93 ქულა:** ნ. ელერდაშვილი, ი. პაროშინი, მ. ზაქარაია (ყველა — თბილისი).

**92 ქულა:** თ. ღვინეფაძე, კ. ოდიკაძე, ჯ. ძაგანია (ყველა — თბილისი), დ. ჩიკვაშვილი (ქუთაისი), გ. ახრახაძე (წყალტუბო), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია).

**91 ქულა:** გ. ბასილაშვილი, ჯ. ბაშელეიშვილი, ჯ. მარკარიანი, გ. ჯაფარიძე (ყველა — თბილისი).

**90 ქულა:** ი. და ლ. ადამაშვილები (თბილისი), ი. ბუზიაშვილი (ქუთაისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

**89 ქულა:** თ. ალფაიძე, მ. სოფრომაძე (ორივე — ქუთაისი), თ. სიხარულიძე, გ. ხახიაური (ორივე — თბილისი), შ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო).

**88 ქულა:** ჯ. მჭედლიშვილი (თბილისი), გ. მელქაძე (სამტრედია).

**87 ქულა:** მ. მამისთვალოვი (თბილისი), ბ. ბასილაია (ფოთი), დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიშტოვანი (ქუთაისი).

**86 ქულა:** ზ. ქუთათელაძე (თბილისი).

**84 ქულა:** ნ. ბაქრაძე (თბილისი).

**83 ქულა:** მ. ჯავახაძე (ქუთაისი), ნ. მასტიაშვილი. (თბილისი).

**81 ქულა:** გ. აბურჯანია (ფოთი), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი).

**80 ქულა:** ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი).

* * *

ამრიგად, გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მიერ მოწყობილი სპორტის მცოდნეთა კონკურსი „სპორტული უნივერსიტეტი-68“ დამთავრდა. რედაქცია დიდ მადლობას უხდის კონკურსის ყველა მონაწილეს. ამავე დროს, ბოდიშს ვითხოვთ იმ ზოგიერთი სხვადასხვა ხასიათის ხარვეზისთვის, რაც, ბუნებრივია, თან ახლდა კონკურსს. ასეთი კონკურსი ხომ „ლელოს“ პირველი ცდა იყო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას გადაწყვეტილი აქვს არ გაწყვიტოს კავშირი „სპორტული უნივერსიტეტის“ წევრებთან. მოგმართავთ თხოვნით: გამოგვიგზავნეთ წერილები და მოგვწერეთ, როგორ აპირებთ რედაქციასთან თანამშრომლობას. კონვერტზე კვლავ დააწერეთ „სპორტული უნივერსიტეტი“.

---

* კონკურსთან დაკავშირებული ყველა წერილი ინახება რედაქციის სამდივნოში და ყველა მონაწილეს შეუძლია გაეცნოს.

** კონკურსის მონაწილეებმა გ. ჩეკურიშვილმა და ა. ბესიაშვილმა IX სერიაში დააგროვეს 10-დან 11 ქულა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჟიურიმ მათ კანონიერად აუნაზღაურა VIII სერიაში დაკლებული თითო ქულა.

*** კონკურსში პრემირებულებს პრიზების გაცემისა და სხვა დამატებითი ცნობები დაეგზავნებათ წერილობით.

ფეხბურთი

## ჩემპიონატები. მატჩები. ლიდერები

**ინგლისი.** ეროვნული ჩემპიონატის განვლილი ტურის ყურადღების ცენტრში იყო გათამაშების ლიდერის — „ლივერპულის“ შეხვედრა ინგლისის თასის მფლობელთან „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ლიდერი დამარცხდა (0:1), თუმცა კვლავინდებურად სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს (36 ქულა). „ლივერპულს“ 3 ქულით ჩამორჩება „ლიდსი“, მაგრამ მას მარაგში აქვს 2 თამაში. მომდევნო ადგილებზე არიან „ევერტონი“ (32 ქულა) და „არსენალი“ (31).

**იტალია.** აქ ლიდერია „კალიარი“, რომელმაც მორიგი გამარჯვება ჩაიწერა „პიზასთან“ შეხვედრაში (3:0) და ახლა 18 ქულა აქვს. „მილანმა“ ფრედ ითამაშა „რომასთან“ (1:1), ხოლო „ფიორენტინამ“ — „ტორინოსთან“ (0:0) და ახლა ისინი 2 ქულით ჩამორჩებიან „კალიარის“.

**პორტუგალია.** გათამაშების სათავეში ედგა ორი გუნდი — „ბენფიკა“ და „პორტო“. სწორედ ეს ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს მორიგ ტურში და „ბენფიკამ“ მარცხი იწვნია — 0:1. სადღეისოდ „პორტოს“ 19 ქულა აქვს, „ბენფიკას“ — 17.

**ესპანეთი.** 22 ქულა მოაგროვა მადრიდის „რეალმა“, რომელიც 5 ქულით უსწრებს II ადგილზე მყოფ „ლას-პალმასს“. III ადგილზეა „ბარსელონა“ — 15 ქულა.

**ჰოლანდია.** სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა ნაკლებად ცნობილი კლუბი „ტვენტე“ — 28 ქულა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება „ფეიენოორდი“, ხოლო III ადგილზე მყოფი „აიაქსი“ — 8 ქულით.

**ჩრდილოეთ ირლანდია.** 14 ტურის შემდეგ I ადგილზე 2 გუნდია — „ლინფილდი“ და „არდსი“. მათ 24-24 ქულა აქვთ. აღსანიშნავია, რომ განვლილ ტურში „ლინფილდი“ დამარცხდა „კოლრეინთან“ — 0:1.

**ავსტრია.** ჩემპიონატში გავლილია I წრე. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ვენის გუნდები „აუსტრია“ და „რაპიდი“. უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა „აუსტრიამ“ (4:3) და ხელთ იგდო ერთპიროვნული ლიდერობა.

## მსაჯი-„ბომბარდირი“

ესპანეთის ორი პროვინციული გუნდის შეხვედრის დამთავრებას 14 წუთი აკლდა, რომ მსაჯის ფეხზე ასხლეტილი ბურთი „რიონეს“ კარის ბადეში გაეხვია. ფეხბურთელთა პროტესტმა არ გასჭრა: წესების თანახმად, გოლი ჩაითვალა. მსაჯი იმის ფიქრში იყო, თუ ცოცხალს როგორ დაეღწია თავი საფინალო სასტვენის შემდეგ... და აი, მძლავრად დარტყმული ბურთი მსაჯს თავში მოხვდა და... „ლაკატინას“ მეკარე უსუსური აღმოჩნდა — 1:1.

მეტოქე ფეხბურთელებმა ერთად გაიყვანეს ხელში აყვანილი მსაჯი მინდვრიდან.

## მოკლედ

● **ბრაზილიის** ნაკრების ფეხბურთელებმა იუგოსლავიელებთან ამასწინანდელი მატჩით (3:3) დაამთავრეს წლევანდელი საერთაშორისო სეზონი. ეს იყო ამ გუნდების მეშვიდე შეხვედრა, მოყოლებული 1930 წლიდან. ახლა საერთო ანგარიში ბრაზილიელთა სასარგებლოდაა: მათ სამ შეხვედრაში გაიმარჯვეს, ორში დამარცხდნენ და ორიც ფრედ დაამთავრეს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა წლეულს სულ 19 თამაში გამართეს — 12 მატჩი მოიგეს, 5 წააგეს და ორიც ფრედ დაამთავრეს.

● **მილანი.** „მილანში“ მოთამაშე გამოჩენილმა შვედმა თავდამსხმელმა კ. ჰამრინმა გაიკეთა ფეხის რთული ოპერაცია და არ ითამაშებს უახლოეს 2 თვის მანძილზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მ. მიქაძეს დედის

ანა იოსების ასულ
გორდაძე - მიქაძის

გარდაცვალების გამო.